პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 ივლისი, კვირა, 1986 წ.
№ 140 (9301) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

# საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი

თავისუფალი ჭიდაობა

„ოქრო“: ავთანდილ გოგოლიშვილი, ლერი ხაბელოვი

ელვა-ინფორმაცია

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როცა მინსკიდან ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ტელეფონით გვაცნობა: მძიმე წონაში საქართველოს ორი წარმომადგენელი შეხვდა ერთმანეთს — „ქართულ ფინალში“ სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა **დავით გობეჯიშვილმა**, ვერცხლის მედალი გადაეცა **ზაზა თურმანიძეს**.

# ფალავნებმა კარგად დაიწყეს





### ავთანდილ გოგოლიშვილი

დაიბადა 1964 წელს ლანჩხუთში.
წონა 82 კგ, სიმაღლე 175 სმ.
სპორტის ოსტატი, არმიის სპორტკლუბის წევრი.
მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვანო ნიკოლაძე და ტარიელ ჭარბაძე.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1975 წელს.
საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი, „მეგობრობის“ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.

### ლერი ხაბელოვი

დაიბადა 1964 წელს თბილისში.
წონა 100 კგ, სიმაღლე 187 სმ.
სპორტის დამსახურებული ოსტატი, არმიის სპორტკლუბის წევრი.
მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვლადიმერ მესტვირიშვილი და ვანო ნიკოლაძე.
სპორტში ვარჯიში დაიწყო 1977 წელს, 1983 წლიდან სსრ კავშირის ნაკრებშია.
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭაბუკებს შორის, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, მსოფლიო თასის მფლობელი, 1985 წლის სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **გაბრიელ ბარჯაძე** მინსკიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრების მესამე დღეს მინსკის სპორტის სასახლეში ორჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. ჩვენს გუნდს პირველი ოქროს მედალი მოუტანა 22 წლის თბილისელმა ფალავანმა ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ), ცოტა მოგვიანებით კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ლერი ხაბელოვი (100 კგ), რა თქმა უნდა, ხაბელოვისაგან ველოდით ამას, აი, გოგოლიშვილმა კი სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გოგოლიშვილმა ქვეჯგუფში ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო, თანაც ოთხივე წმინდად. მან პირველ წრეში თურქმენეთის წარმომადგენელი უშაროვი დაამარცხა, მეორეში — იგორ მალიშევი (უზბეკეთი), მესამეში — ანატოლი სტარიჩენკო (ლატვია), მეოთხეში კი — ვადიმ კარიტნი (უკრაინა). გადამწყვეტ შეხვედრაში გოგოლიშვილის მეტოქე იყო მახაჩყალელი ალიბეკ ზუბაიროვი. ჩვენმა ფალავანმა პირველი პერიოდი ერთქულიანი უპირატესობით მოიგო (2:1), მაგრამ შესვენების შემდეგ ზუბაიროვი საგრძნობლად გააქტიურდა და როცა საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, ტაბლოზე ენთო ციფრები — 3:3. რადგან ორქულიანი ილეთი გოგოლიშვილს ჰქონდა შესრულებული, გამარჯვება და სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მას მიეკუთვნა. ეს დიდი წარმატებაა ახალგაზრდა ფალავნის სპორტულ ბიოგრაფიაში.

იხ. მე-3 გვ.

# მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ტ. ტერნერს

**18 ივლისს** მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ტ. ტერნერი — ამჟამად მოსკოვში მიმდინარე კეთილი ნების ასპარეზობის ერთ-ერთი ინიციატორი, ამერიკის ტელეკომპანია „ტი-ბი-ეს“-ის მფლობელი.

გარდატეხის, მსოფლიოსათვის პასუხსაგებ მომენტებში, აღნიშნეს მოსაუბრეებმა, დიდად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის ინიციატივები, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთგაგებისა და ნდობის დამყარებას, ასუსტებენ, სპობენ ეჭვსა და დაძაბულობას ხალხებისა და სახელმწიფოების ურთიერთობაში. კეთილი ნების ასპარეზობა სწორედ ამგვარ ინიციატივებს განეკუთვნება. მ. ს. გორბაჩოვმა პასუხი გასცა ტ. ტერნერის კითხვებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საბჭოთა კავშირ — ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობასთან, მთლიანად საერთაშორისო ვითარებასთან. ბირთვულ საუკუნეში, მზარდი ეკოლოგიური თუ სხვა საფრთხის პირობებში, ხაზი გაუსვა მან, საერთაშორისო პრობლემებისადმი ერთადერთ მისაღებ და რეალისტურ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მიდგომა, რომლის დროსაც აღიარებულია ყოველი ქვეყნის უფლება თვითონ გადაწყვიტოს შინაური საქმეები, გამორიცხულია ძალის გამოყენება, ვლინდება მოთმინება და შემწყნარებლობა, თითოეულის კანონიერი ინტერესების პატივისცემა.

საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსი გ. ა. არბატოვი და მ. ვ. გრამოვი, ცოცხალი და კეთილმოსურნე იყო.

(საქინფორმი).

# თბილისის IX სპარტაკიადა დამთავრდა

**თბილისის** სპარტაკიადა ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. ეს გასაგებიც არის, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრთა უმრავლესობა ხომ დედაქალაქში ცხოვრობს და ოსტატდება.

წლევანდელი სპარტაკიადა, რომელიც რიგით მეცხრე იყო, განსაკუთრებით მაღალ დონეზე ჩატარდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სპორტკომიტეტს (თავმჯდომარე ჯ. ბაგრატიონი), რომელმაც ყველაფერი იღონა სპორტის ცალკეულ სახეობებში შეჯიბრებების სამაგალითოდ ორგანიზებისთვის. პროგრამაში იყო სპორტის 24 სახეობა. სპარტაკიადის მონაწილეებს დედაქალაქის საუკეთესო სპორტული ბაზები დაუთმეს.

ამ დღეებში თბილისის სპორტკომიტეტმა შეაჯამა სპარტაკიადის შედეგები. კომპლექსურ ჩათვლაში ადგილები მოპოვებული ქულების მიხედვით დედაქალაქის რაიონებს შორის ასე განაწილდა:

1. ორჯონიკიძის რაიონი—6.685 ქულა
2. ოქტომბრის რაიონი — 4868,5
3. საბურთალოს რაიონი—3105,5
4. პირველი მაისის რაიონი—2843
5. საქარხნო რაიონი — 2713,5
6. გლდანის რაიონი — 2629,5
7. კალინინის რაიონი — 2357
8. ლენინის რაიონი — 2219
9. კიროვის რაიონი — 2002
10. 26 კომისრის რაიონი — 1641,5

ვფიქრობთ, ცხრილიდან შესაბამის დასკვნებს გააკეთებენ დედაქალაქის ის რაიონები, რომლებიც ქულათა დიდი სხვაობით ჩამორჩნენ პრიზიორებს. აშკარად იგრძნობა, რომ ეს რაიონები სრულად ვერ იყენებენ შესაძლებლობებს, მოიკოჭლებენ სპორტმასობრივ მუშაობაში. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ ოქტომბრის რაიონის წარმომადგენლები, ისინი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ და გაუსწრეს იმ რაიონებსაც კი, რომლებსაც სპორტული მუშაობის გაშლის უკეთესი პირობები და შესაძლებლობები აქვთ.



# მოცურავის საკავშირო კვირეული

**აფხაზეთში** დიდი აღმავლობით ტარდება მოცურავის საკავშირო კვირეული.

გაგრის სანატორიუმებისა და პანსიონატების ვესტიბიულებში გამოკრული აფიშები და პლაკატები ცურვის მოყვარულთ ცისფერი ბილიკებისკენ უხმობს.

**სოხუმის** პლაჟზე ცურვის შესწავლის მსურველებს ვეღარ აუდიან მწვრთნელები ნ. იახიოპულო, ო. ორცევა, ნ. შავგენია, ვ. ზადოროჟნი. ალბათ ამიტომაც გადაწყვიტეს მოცურავის კვირეული ზაფხულის ბოლომდე გააგრძელონ. ამ ხნის მანძილზე ისინი საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში ავარჯიშებენ ცურვის შესწავლის მსურველთ. აქვე იმუშავებს მოცურავეთა სპორტული სექციები.

**გალის** რაიონის სოფელ საბერიოს ღია საცურაო აუზში დღეს მოეწყობა მოცურავის კვირეულის საზეიმო დახურვა, რომელშიც ცურვის მრავალი მოყვარული მიიღებს მონაწილეობას.

**მურა ჯაკობია,**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

სოხუმი.

### დღეს ნომერშია:

◎ წარსულში ცნობილი სპორტსმენების [illegible] და გამოცდილება — ჩვენი სპორტული მოძრაობის, ახალგაზრდა თაობის აღზრდის სამსახურში! [illegible] (მე-2 გვ.).

◎ [illegible] (მე-3 გვ.).

◎ [illegible] (მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 20 ივლისი მეტალურგის დღეა

# მეფოლადის განწყობა გამომდნარ მეტალშიც მოჩანს

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა რუსთავის მეტალურგიულ თუ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში თუ კვაისის მაღაროთა სამმართველოს შრომით უბნებზე, იქ, სადაც ქართული მეტალურგიის კერებია, უთუოდ მოიხიბლებოდა ძველი ხალიბების შთამომავალი ადამიანების თავდადებით და მამაცობით. ქართველ მეტალურგთა შრომითი გმირობა საქვეყნოდ გახდა ცნობილი. იმ რთულ პირობებში, სადაც მეტალურგიის ცალკეული დარგების წარმომადგენლები ილვწიან, წინა პლანზე, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, წამოწეულია ადამიანის ფაქტორი. ეს ყველაფერში იგრძნობა. მეტალურგთა კეთილდღეობისთვის ზრუნვაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომისა და აქტიური დასვენების საკითხს. არაფერი იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ იმ მსხვილ საწარმოთა შორის, რომლებიც სამაგალითოდ გამოირჩევიან კეთილმოწყობილი მატერიალურ-სპორტული ბაზებით, ერთ-ერთი პირველები არიან მეტალურგიული მრეწველობის შრომითი კოლექტივები. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შესანიშნავი სტადიონი ავიღოთ. იგი უდავოდ უნიკალურ სპორტულ ნაგებობათა სათვალავში შედის, რომელსაც ჩინებული შესაძლებლობები აქვს არა მარტო სპორტული, არამედ ფიზკულტურული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისათვის. ამიტომაც იქცა ეს სტადიონი მეტალურგებისა და მათი ოჯახის წევრების საყვარელ ადგილად.

შესანიშნავი სტადიონით, საცურაო აუზით, სპორტული კომპლექსით იწონებს თავს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი. რაიონის ხელმძღვანელების მხარდაჭერითა და დახმარებით ქარხნის სტადიონი წელს ქალაქის სპორტული ცხოვრების სანიმუშო კერა გახდა. კარგი სპორტული კომპლექსი აქვს კვაისის მაღაროთა სამმართველოსაც. რაც მთავარია, ამ სპორტულ ბაზებზე ხშირად ბრიგადებით, ოჯახებით მოდიან სავარჯიშოდ, ოჯახებსა და ბრიგადებს შორის სპორტული შეჯიბრებებიც ტარდება. თუ რა შედეგი მოაქვს თავისუფალ დროს ერთი საწარმოს თანამშრომლების თავშეყრას სპორტულ ბაზაზე, ვფიქრობთ, დაწვრილებით განმარტებას არ საჭიროებს.

მეტალურგთა ყოველდღიურ ყოფაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში შრომით კოლექტივებს დიდ დახმარებას უწევს პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტი და სპორტსაზოგადოება „განთიადის“ რესპუბლიკური საბჭო. „განთიადმა“, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, მაგალითად, შარშან სხვადასხვა სპორტული ინვენტარი გადასცა უსასყიდლოდ, რამაც მეტალურგებს საშუალება მისცა უშუალოდ სამუშაო უბნებზე ივარჯიშონ ფიზკულტურასა და სპორტში შესვენების დროს.

შრომითი წარმატებების საკითხი მხოლოდ სამუშაო უბნებზე არ წყდება. ის, თუ როგორ ისვენებს კოლექტივი და მისი თითოეული წევრი შრომის შემდეგ, როგორ იყენებს თავისუფალ დროს, რა უწყობს ხელს მისი გუნება-განწყობის ამაღლებას, მაინც საბოლოო ჯამში მაღალნაყოფიერ და ეფექტურ შრომაში, გამოშვებული პროდუქციის ხარისხში ვლინდება.

გამომდნარ მეტალშიც შეიმჩნევა კაცის განწყობა.

# ნათელ მოგონებად...

**სანიმუშოდ** მომზადებული შეხვდა უკრაინელ მოსწავლეებს ბათუმის სპორტული კომპლექსის საცურაო აუზი. სიწყნარე და სისუფთავეა საძილე კორპუსში, სასადილოში. საუცხოოდაა გაფორმებული ბანაკის ეზო. მეორე თვე ხდება, რაც აქ ისვენებენ და ჯანმრთელობას იკაჟებენ უკრაინელი ბავშვები — კიევის სხვადასხვა სკოლების მეოთხე-მეშვიდე კლასების მოსწავლეები.

— ყურადღება და ხელშეწყობა არ გვაკლია, — ამბობს სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლიუდმილა ბოიკო. — დღის რეჟიმიც ისე შევადგინეთ, რომ ბავშვებს მოსწონთ.

პიონერებმა უკვე დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ბოტანიკურ ბაღში, დელფინარიუმში, თბომავალ „ბათუმით“ ზღვაზე ისეირნეს, მოაწყვეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა, სპორტული პაექრობანი, შეხვდნენ საინტერესო ადამიანებს — ომის ვეტერანებს, შრომის გმირებს.

უკრაინელ პიონერებს ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ მზიურ აჭარაში გატარებული ზაფხული.

**ოთარ მურვანიძე.**
**(„ლელოს“ კორ.).**

ბათუმი.

## მკითხველი — გაზეთი

**შეკითხვა:** გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ აუნაზღაურდება ხელფასი ზაფხულის პერიოდში იმ მწვრთნელ-მასწავლებლებს, რომლებიც ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მუშაობენ?

**გომერ ჯანდიერი.**
რუსთავი.

**პასუხი:** ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ისევე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებს, სპორტული სკოლების მწვრთნელ-მასწავლებლებს ეძლევათ მხოლოდ სრული ფასიანი შვებულება.

## უკატრავად, შეგახსენებთ!

**ჩვენი** გაზეთის 28 მაისის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით: „თავმჯდომარეებს ცვლიან, საქმე არ იცვლება“, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ყაზბეგის რაიონში არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარდაქმნისათვის.

რატომ გვიანდება რედაქციაში გამოსაგზავნი პასუხი? — ვეკითხებით სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებს.

# კერპი

...**გონგსა** ჰკრეს. დარბაზი მიჩუმდა. ყველამ რინგს მიაპყრო მზერა. ყმაწვილებმა თვალით გაზომეს ერთმანეთი... ალბათ ყველა ორთაბრძოლა ასე იწყება, მაგრამ იმ დღეს გონგის ხმა მხოლოდ რაუნდის დასაწყისი არ ყოფილა, ეს იყო წამი, როცა ტრადიციას ეყრება საფუძველი. ეს იყო წამი მოგონებისა, რომელიც ათას სხვა მოგონებას ჯაჭვად ასხამს. ამ ჯაჭვზე პირველი და მეორე თუ არა, მესამე რგოლი მაინც იყო ის დღე, იმდღევანდელს ტყუპისცალივით რომ ჰგავდა... რინგი წითელი და ლურჯი კუთხეებით, მწვრთნელები, მსაჯები, არც ისე სავსე დარბაზი, თოთხმეტიოდე წლის ბიჭები ძიძგილაობენ, ისინი ეს-ესაა მოვიდნენ კრივში, მათთვის სპორტული დიდებისკენ სწრაფვა ჯერ უცხოა. უბრალოდ, არცერთს არ უნდა თავისუბნელი ბიჭების თანდასწრებით „გალახული“ ჩამოვიდეს რინგიდან და ამიტომ მთელ თავის გამოცდილებას და ძალას ბრძოლას ახმარს...

მათ შორის ერთ-ერთი დავით კვაჭაძე იყო. მაგრამ ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია, ახლა კი დავითი მწვრთნელიც იყო, ცნობილი მოკრივეც, მაყურებელიც და ის საპატიო სტუმარიც, ვის სახელსაც ეს შეჯიბრება ატარებს.

ქართველი მოკრივის სახელობის პრიზისთვის ასპარეზობა ამიერიდან ყოველ წელს გაიმართება და პრიზის მოსაპოვებლად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების სპორტსმენები იბრძოლებენ.

...გონგსა ჰკრეს და დარბაზი მიჩუმდა, რინგზე ბიჭები შეებნენ ერთმანეთს... მაშინაც ასე დაიწყო ყველაფერი. იმ პირველი შეჯიბრებიდან ოც წელზე მეტი გავიდა და ის ოცდახუთი დეკემბერი ისე ახლოსაა, იმდენად ახლოს, რომ დათოს ჰგონია, აი ახლა, მის გვარს გამოაცხადებენ, რინგზე მდგარს გონგის ხმა მთელ სხეულში გაუვლის და წამით გაიფიქრებს: „თუ ახლა დავმარცხდი, კრივს მივატოვებ!“

მიუხედავად იმისა, რომ დათოს ძმა მოკრივე იყო (ვინ იცის, ამიტომაც), ოჯახი წინ აღუდგა მის სურვილს. ისიც შინ არ ამხელდა, ჩუმად დადიოდა ვარჯიშზე, ყველაზე ადრე მისული, დარბაზს ყველაზე გვიან ტოვებდა. ცეკვავდა, ფეხბურთსაც თამაშობდა და ტანვარჯიშშიც სიამოვნებით ოსტატდებოდა, მაგრამ კრივის დარბაზში ისე გრძნობდა თავს, როგორც არსად. ჰოდა, თავისი ბედი პირველ შეჯიბრებაზე გადაწყვიტა: თუ დამარცხდებოდა, აღიარებდა, რომ კრივი მისი საქმე არ იყო. მაგრამ ის პირველი შეჯიბრება მისთვის მაცოცხლებელი წყაროს სათავედ იქცა. თითქოს ძალიან უნდა გახარებოდა გამარჯვება, მაგრამ სიხარულის მსგავსი არაფერი უგრძვნია რინგზე. მხოლოდ რაღაცა დალაგდა მყარად გონებაში. შინ დაბრუნებული, უჩვეულოდ აღელდა, თითქოს დიდი ხნის უნახავი ჰყავდა დედა... მის მკერდზე მიკრულს თვალებში ნაღველი ჩაუდგა, თქმით კი არაფერი უთქვამს. მაშინ სულ თოთხმეტი წლისა იყო... ცეკვა, ტანვარჯიში, ფეხბურთი ლამაზ მოგონებად იქცა.

„კრივში იმიტომ არ მივსულვარ, რომ ძლიერი ვიყავი, არა! თვითონ არ ვიცი, რატომ მერჩია კრივი თუნდაც ფეხბურთს... არ ვიცი...“ მხოლოდ ის ახსოვს, რატომ მოსწონდა მოთხრობა ლომსა და პატარა ფინიაზე... ბავშვობაში ძალიან უნდოდა იმ ლომივით ძლიერი და კეთილი ყოფილიყო. როცა კაცს ძალა აქვს, აუცილებლად სჭირდება სიკეთე. დათო ქვეშეცნეულად გრძნობდა ამას. თავისუფალ დროს აუცილებლად შეირბენდა ზოოპარკში და დიდხანს, დიდხანს უყურებდა, ლომს, გალიიდანაც რომ ამაყად იყურებოდა და ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა მის სანახავად მოსულ ადამიანებს. გალიაში გამომწყვდეულ ვეფხვებს რომ შეავლებდა თვალს, ფიქრობდა, ძალა არ ყოფილა მთავარიო. ასე, ყველგან, ყველაფერში ეძებდა თავის მრწამსს და საკუთარ ადგილს ცხოვრებაში. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს ქარხანაშიც მუშაობდა, თან ვარჯიშობდა. დამარცხებულს ფიქრი არ ასვენებდა: შევცდი, კრივი რომ ავირჩიე, მაგრამ მერე, როცა აღელ-



ვება გაუვლიდა, უკვირდა, ეს რამ მაფიქრებინაო. ბევრმა ურწმუნობის და რწმენის დღემ ჩაიარა 1976 წლამდე. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რომ გახდა, ოცდაექვსი წლის იყო. ჩემპიონი შეჯიბრებებზე უკვე სხვა რწმენით გამოდის, მაგრამ დათო არასდროს არ ყოფილა ზედმეტად თვითდაჯერებული. „თბილისში გამართული შეჯიბრებები ჩემთვის ყველაზე დაძაბული იყო, თითოეული გულშემატკივრის მზერას ვგრძნობდი, ყველა შეძახილი მესმოდა“... მათ წინაშე დათო ისევ იმ თოთხმეტი წლის ბიჭად იქცეოდა, მხოლოდ მის საყურებლად მოსულ უბნელებთან შერცხვენის რომ ერიდებოდა. უცხო ქალაქებში კი გონგის ხმასთან ერთად დარბაზი სადღაც სიღრმეში მიდიოდა, იკარგებოდა.

1978 წელს დავითი ევროპის ჩემპიონად დაბრუნდა თბილისში, ის იყო პირველი ქართველი მოკრივე, რომელმაც ეს მაღალი წოდება მოიპოვა.

თითქოს ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. მაგრამ უცებ იგრძნო, რომ რაღაცამ ძალიან დაღალა, რაღაც უნდა შეცვლილიყო. მაინც, რა მოხდა-მეთქი ვკითხე. რა ვიცით, თქვა, „ყოველთვის მიყვარდა მოგზაურობა და თბილისის მონატრება — აეროპორტიდან სახლამდე ფეხით რომ გინდა გაიქცე. უცხო ქალაქებიც მიზიდავდა. უცებ ვიგრძენი, რომ ამან დამღალა მეც და ჩემი მეუღლეც... თვითმფრინავში შესულს მთელი გზა აღარ მშორდებოდა მისი ნაღვლიანი მზერა. ჩემი შვილების გამომეტყველება. ერთ მშვენიერ დღეს კი მივხვდი, რომ უკვე მეტის გაკეთება აღარ შემეძლო და ტყუილად ვაწამებდი ყველას“.

აქ მე გავიხსენე 1980 წელი, თბილისის სპორტის სასახლე. შეჯიბრების შემდეგ ფეხზე ამდგარმა გულშემატკივრებმა ტაშით გააცილეს თავიანთი კერპი... კრივიდან.

სწორედ იმ წელს დათო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ყველას უკვირდა, ვერ გაეგოთ წასვლის და მერე უცებ უკან დაბრუნების მიზეზი, თუმცა ყველას უხაროდა მისი გამარჯვება.

დავითი კრივიდან წასვლის მერე მიხვდა, რომ კიდევ შეეძლო ბრძოლა. არც შემცდარა...

1984 წელს ახლად გახსნილ კრივის სკოლას ჩაუდგა სათავეში. თითქმის ორი წელი იმუშავა დავითმა ბავშვებთან, ყოველ მათგანში თავის ბავშვობას რომ ხედავდა და თავის წილ სითბოს არც ერთს არ აკლებდა.

1985 წლის დეკემბერიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრას ხელმძღვანელობს. ფარიკაობისა და ჭიდაობის დარბაზები, ტირი მისი თაოსნობით კეთილმოეწყო, აქ საინტერესო შეჯიბრებები ჩატარდება, თავისუფალ დროს სტუდენტები ჯანმრთელობას გაიკაჟებენ.

მოგონებათა ჯაჭვი კიდევ ერთმა რგოლმა გაალამაზა: ახლახან აკოფიანის ქუჩაზე დავით კვაჭაძის სახელობის სპორტული კლუბი გაიხსნა.

...ძალაუნებურად ის ძლიერი და კეთილი ლომი მახსენდება, დათოს რომ უყვარდა ბავშვობაში.

**ნანა ბერიშვილი-მუკბანიანი.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**რედაქციას უპასუხებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების სამმართველო**

# „არა, არ უნახავთ“

ამ სათაურით 27 მაისს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის ეგრეთ წოდებულ „მარაკანას“ სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების შეჩერების შესახებ. ამ დღეებში თბილისის სახალხო განათლების სამმართველოდან გვაცნობეს:

**წერილში მოტანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სტადიონზე სამუშაოების შეჩერება ძირითადად მოსახლეობის უკმაყოფ[ილ]ლებით. სათანადო ახსნა-განმარტ[ები]ს ჩატარების შემდეგ მცხოვ[რე]ბლები დარწმუნდნენ სტადიონ[ის] რეკონსტრუქციის აუცილებლობა[ში]. ამჟამად პროექტი შეთანხმებულ[ია] ქალაქის არქიტექტორთან. განახ[ლდ]ა სკოლის სარემონტო და სპორ[]ტული კომპლექსის სამშენებლ[ო] სამუშაოები, რაც 15 აგვისტოსთვ[ის] დამთავრდება.**

**ქ. სუჯაშვილ[ი]**
**თბილისის სახალხო განათლ[ების]**

## რუსთაველ მეხანძრეთა შეუდარებელი ოსტატობა

**სამტრედიის** „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში. მონაწილეთა შორის იყვნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, ახალციხის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბისა და სამტრედიის მეხანძრეთა ნაკრები გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა რუსთავის მეხანძრეთა ნაკრებმა. მეორე-მესამე საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ფოთისა და აფხაზეთის გუნდების მეხანძრეები.

პირად პირველობაში წარმატებით იასპარეზეს და სხვადასხვა დისციპლინაში პირველი ადგილები დაისაკუთრეს რუსთაველებმა ს. ვარშანიძემ და მ. გალოგრემ, ფოთელმა ზ. შეროზიამ.

**ტორაძ ნიკოლეიშვილი.**

სამტრედია.

# კეთილი ნების თამაშები

## ბოლო სტარტებიღა დარჩა

**კიდევ ცოტაც და კეთილი ნების თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდება. გუშინწინ ჩემპიონები ხელბურთელ ქალთა და ვაჟთა ტურნირებმა დაასახელეს. უმაღლესი ჯილდო ორივე თანრიგში საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.**

**ვაჟებმა** პირველი ადგილი შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლა გადახდათ მათ ჩეხოსლოვაკიელებთან, მაგრამ შეხვედრა მაინც თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ამ გამარჯვებას ჩვენი გუნდისთვის ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, საბჭოთა კავშირის ვაჟთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში (შვეიცარიაში) არ გაუმართლა. არა და, მას რეაბილიტაცია სჭირდებოდა. განახლებულმა და რაც მთავარია გაახალგაზრდავებულმა გუნდმა კარგად გაართვა თავი სირთულეებს და კეთილი ნების თამაშების მთავარი პრიზი დაისაკუთრა. ეს გამარჯვება საბჭოთა ნაკრებს ახალ იმედებს შთაბერავს.

**ხელბურთელ** ქალთა კოლექტივები, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, მიტომ ეს ტურნირი ძალების სერიოზული შემოწმება იყო. მით უკეთესი. საბჭოთა ნაკრების წარმატება ოპტიმიზმის საბაბს იძლევა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ნაკრების დებიუტანტი ნატალია კირჩიკო, რომელმაც შეჯიბრების მთავარი ბომბარდირის პრიზი დაისაკუთრა (41 გოლი).

გთავაზობთ ტურნირის საბოლოო შედეგებს. ქალები: სსრ კავშირი — 10 ქულა, გფრ — 8, უნგრეთი — 6, დანია—4, იაპონია —2, აშშ — 0. ვაჟები: სსრ კავშირი — 10, აშშ და ჩეხოსლოვაკია — 4-4, ისლანდია და პოლონეთი — 2-2, უკონკურსოდ მოასპარეზე რსფსრ-ს ნაკრებმა 7 ქულა დააგროვა.

**ფრენბურთელ** ვაჟთა ტურნირის ცენტრალური მატჩი სსრ კავშირისა და იაპონიის გუნდების შეხვედრა იყო. ბრძოლა სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და აღსავსე იყო დრამატული მომენტებით. პირველი პარტია იაპონელებმა მოიგეს —15:11, მეორეში უპირატესობას საბჭოთა ფრენბურთელები ფლობდნენ — 15:7. მერე ისევ იაპონელები დაწინაურდნენ — 15:12, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ გაათანაბრეს ანგარიში — 15:7. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეხუთე პარტია, რომელშიც იგორ რუნოვმა გამოიჩინა თავი. საბჭოთა ფრენბურთელებმა მოიგეს იგი (15:9) და მასთან შეხვედრაც — 3:2.



სსრ კავშირისა და აშშ-ს ხელბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

საქდეს-საქინფორმის ფოტო.

ახლა გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს გუნდები შეხვდებიან. მესამე ადგილისთვის კი საფრანგეთისა და იაპონიის ფრენბურთელები იბრძოლებენ.

**ტანმოვარჯიშე** ქალთა ასპარეზობა მრავალჭიდში მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. პირველი ადგილი და კეთილი ნების თამაშების ოქროს მედალი 17 წლის ვორონეჟელმა ვერა კოლესნიკოვამ მოიპოვა — 78,55. მან ყველა იარაღზე დახვეწილი ოსტატობა გამოამჟღავნა და ამდენად, მისი წარმატება დამსახურებული უნდა იყოს. მაგრამ მოულოდნელია, რომ ვამბობთ, იმას ვგულისხმობთ, რომ ახალგაზრდა ვორონეჟელმა ოსტატმა უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ორი აბსოლუტური ჩემპიონი, ლენინგრადელი ელენა შუშუნოვა და კიეველი ოქსანა ომელიანჩიკი. შუშუნოვას ამჯერად წილად ხვდა II ადგილი (78,4), ომელიანჩიკს კი — III (78,10).

**ძალოსნები** 100 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. ბრძოლა პირველობისთვის უმთავრესად ორ სპორტსმენს, რუსლან ბალაევსა (სსრ კავშირი) და ნიკუ ვლადს (რუმინეთი) შორის წარიმართა. ბალაევმა ორჭიდის ჯამში 412,5 კგ დააგროვა და მეტოქეს 2,5 კილოგრამით აჯობა. მესამე ადგილი იური დანდიკს (სსრ კავშირი) ხვდა წილად.

**ძიუდოისტებმა** მედლების კომპლექტი 78 კგ-ში გაითამაშეს. ფინალში ერთმანეთს პერმელი ვლადიმერ შესტაკოვი და ფრანგი მარსელ პიეტრი შეხვდნენ. შესტაკოვმა აგრესიულად წარმართა ბრძოლა და მოიგო იგი ანგარიშით 7:0. ამ წონაში ბრინჯაოს ჯილდო ჯორჯ ვისმარამ (იტალია) და განბოლდ ჟამბალინმა (მონგოლეთი) დაისაკუთრეს.

დღეს კეთილი ნების თამაშები დამთავრდება.

## [illegible] ჩემპიონები ვადამდე

**ტალინი.** კეთილი ნების თამაშების პროგრამით მოასპარეზე აფროსნებმა ფაქტიურად 6-6 რბოლა ჩაატარეს, მაგრამ შედეგების აღრიცხვა ხუთი საუკეთესო რბოლის მიხედვით ხდება. ამიტომაც ლიდერებს „ხუთი სერიის რბოლების შედეგებით წარმოგიდგენთ.

მაგრამ ჯერ იმათ შესახებ, ვინც პირველი ადგილი და ჩემპიონის სახელი რეგატის დამთავრებამდე გაინაღდეს. „ფინის“ კლასში, მაგალითად, ბოლო რბოლას მნიშვნელობა აღარ აქვს. გამარჯვება უკვე მოიპოვა ლიპეცკელმა ოლეგ ხოპერსკიმ. „მფრინავი ჰოლანდიელის“ კლასშიც გამარჯვებული ვადამდე გამოვლინდა. ეს გახლავთ ალექსანდრე შპილკოსა და ვიქტორ ბუდანცევის (ორივე — სსრ კავშირი) ეკიპაჟი.

ცნობილია კიდევ ორი გამარჯვებულის ვინაობა. „ტორნადოს“ კლასში ყველას იური კონოვალოვმა და სერგეი კუზოვომა (ორივე — სსრ კავშირი) აჯობეს, „ვარსკვლავის“ კლასში კი უძლიერესი აშშ-ს წარმომადგენელი მარკ რეინოლდსი იყო (გურამ ბიგანიშვილს აქ მეორე ადგილი ხვდა).

დანარჩენ კლასებში ასეთი მდგომარეობაა:

**„470“ (ვაჟები).** მორგან რეიზერი (აშშ) — 3,7 საჯარიმო ქულა, ბერნდ ჰეფტი (გდრ) — 25,4.

**„470“ (ქალები).** კარენ ჯონსონი (კანადა) — 6, გიეს პერნდონი (აშშ) — 17,1.

**„ვინდგლაიდერი“ (ვაჟები).** ევგენი ბოგოტირიოვი (სსრ კავშირი) — 14,7, მაიკლ გეპჰარდი (აშშ) — 19,7.

**„ვინდგლაიდერი“ (ქალები).** კეტი სტილი (აშშ) — 11,7, იოანა ბუჟინსკა (პოლონეთი) — 11,7.

## დღეს თამაშებზე

**აკადემიური ნიჩბოსნობა.** ქალთა და ვაჟთა რბოლები.
**ძიუდო.** შეჯიბრება 60 კგ. წონასა და აბსოლუტურ კატეგორიაში.
**ძალოსნობა.** შეჯიბრება ზემძიმე წონით კატეგორიაში.
**საჩვენებელი** გამოსვლები სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომაში.
**შეჯიბრების** საზეიმო დახურვა.

# ფალავნებმა კარგად დაიწყეს

(დასასრული)

— წარმოშობით ლანჩხუთიდან ვარ, — გვითხრა გამარჯვებით გახარებულმა სპორტსმენმა. — თავიდან ტანვარჯიშში ვმეცადინეობდი, სკოლა-ინტერნატშიც ტანვარჯიშის მწვრთნელებმა გადამიყვანეს, მაგრამ როცა იქ თავისუფალი ჭიდაობის სექცია გაიხსნა, მოჭიდავეთა ჯგუფში აღმოვჩნდი. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო ვლადიმერ მესტვირიშვილი... სპარტაკიადაზე საპრიზო ადგილის მოპოვებას ვისახავდი მიზნად, მაგრამ ქვეჯგუფში ყველა შეხვედრა რომ მოვიგე, ფინალში გამარჯვების იმედიც მომეცა. ბედნიერი ვარ, რომ გავამართლე მწვრთნელების, ჩემი გულშემატკივრების იმედები.

ლერი ხაბელოვი თითქმის ყველა უმაღლესი სპორტული ტიტულის მფლობელია. ამჯერად მის მდიდარ კოლექციას სპარტაკიადის „ოქროც“ მიემატა. ხაბელოვი ქვემძიმე წონაში გამოკვეთილი ლიდერი იყო, მაგრამ სპეციალისტები ფავორიტთა შორის კიეველ რობერტ თიბილოვსა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ ალეკო მუზიკაშვილსაც ასახელებდნენ. ხაბელოვმა მუზიკაშვილს პირველივე წრეში წმინდად მოუგო, ევროპის 1984 წლის ჩემპიონი თიბილოვი კი მესამე წრეში აშკარა უპირატესობით დაამარცხა. ჩვენმა ფალავანმა არც ფინალში დაუტოვა გამარჯვების შანსი თავის მოსკოველ მეტოქეს — ვლადიმერ ზახაროვს. მეორე პერიოდში, როცა ხაბელოვი ანგარიშით 9:2 იგებდა შეხვედრას, მსაჯებმა ზახაროვს მესამე გაფრთხილება მისცეს.

პირველ ხუთ წონით კატეგორიაში ფინალური შეხვედრები საღამოს [illegible] შეხვედრები გრძელდებოდა დანარჩენ წონებში. ჩვენი ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, მძიმე წონის მოჭიდავეებისკენ იყო მიპყრობილი. გიგანტთა ტურნირში ორი ქართველი ფალავანი ჩაება და ორივემ შესანიშნავად იჭიდავა. დავით გობეჯიშვილმა ქვეჯგუფში ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო. ეს იყო სრული და აშკარა უპირატესობა. ჩვენს გოლიათს ვერაფერი მოუხერხეს მეტოქეებმა — ესტონელმა პენკისმა, მოსკოველმა დავით ბუზარიაშვილმა, უკრაინელმა ოლეგ კოცოევმა, ალმაათელმა ლატოცკიმ და მასპინძელთა გუნდის წევრმა ლატუშკინმა. თავის ქვეჯგუფში შეუდარებელი იყო თბილისელი ზაზა თურმანიძეც. მან ოთხი ბრძოლა მოიგო: ლატვიელ ბარანკოვთან, სომხეთის წარმომადგენელ გია გილდოავასთან, უკრაინელ უეოვსკისთან და მოლდაველ პასტუხოვთან. ერთი სიტყვით, მძიმე წონოსანთა ფინალი ჩვენი ფალავნების „შინაურ საქმედ“ იქცა.

ორიოდე სიტყვა დანარჩენ მოჭიდავეებზე. ტურნირის ბოლო დღეს მედლებისათვის ბრძოლას აგრძელებდა გორელი მერაბ სამადაშვილი (74 კგ). მას ოთხი წრის შემდეგ სამი გამარჯვება ჰქონდა. მეშვიდე ადგილები დაიკავეს და საქართველოს ნაკრებს 11-11 ქულა შესძინეს ნუგზარ ნასყიდაშვილმა (52 კგ) და კობა ლომიძემ (90 კგ). მერვე ადგილზე გავიდა ზაურბეგ მაჰომედოვი (62 კგ, 9 ქულა), ელმან ნალიევმა კი მხოლოდ ორი წრე გაიარა (ეს სპორტსმენი პირად პირველობაში გამოდიოდა). სამწუხაროდ, პირველსავე შეხვედრაში დაშავდა და ბრძოლას გამოეთიშა პერსპექტიული თბილისელი მოჭიდავე გოჩა გაბოძე (68 კგ). **მივიღეთ უკანასკნელი ცნობა. — მერაბ სამადაშვილმა IV ადგილი დაიკავა.**

## უმაღლესი ლიგა

### დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XVIII ტურის შეხვედრა. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ვილნიუსის „ჟალგირისი“.

მატჩი დამთავრდა „ჟალგირისის“ გამარჯვებით — 2:1.

## I ლიგა

**18-19 ივლისს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები.

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0 (2:0).**

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 18 ივლისი.**

**„გურია“: იმნაძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე, მელიქია, გილიგაშვილი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, ჩხაიძე, ფრიდონაშვილი (თოფურიძე), აკოფიანი.**

**„ფაკელი“: მეროვშჩიკოვი, ხოსულინი, სავჩენკოვი, შმაროვი, მხითარიანი (პონომარიოვი), ხოშენკო, კოლესნიკოვი, მინაევი, ვასილიევი, მურაშკინცევი, მატიუნინი.**

**მსაჯი ი. ერგაპოვი (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს ვორონეჟელი ფეხბურთელი მინაევი.**

„ფაკელს“ ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ, ეს გუნდი ოდესღაც უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა, მის რიგებში ახლაც თამაშობენ ძლიერი ფეხბურთელები (ეს მატჩი კალენდრით 22 ივლისს უნდა შემდგარიყო ვორონეჟში, მაგრამ იგი ლანჩხუთში გადმოიტანეს).

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა პირველივე წუთიდან აქტიურად, კომბინაციურად დაიწყეს თამაში, „ფაკელის“ დაცვას მძიმე სამუშაო დააწვა. მიმდინარეობდა 24-ე წუთი, როცა კოპალეიშვილმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე ჩხაიძე და ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით აიღო მეტოქის კარი, ათიოდე წუთის შემდეგ კი ჩხაიძე-თევზაძის კომბინაცია „ფაკელის“ კარში გატანილი მეორე გოლით აღინიშნა.

შესვენების შემდეგ ინიციატივას საკმაო ხნით დაეუფლნენ სტუმრები, ამჯერად სრული დატვირთვით მოუხდათ ბრძოლა „გურიის“ მცველებს და მეკარე იმნაძეს. მატჩის დასასრულს ლანჩხუთელებმა კვლავ გამოასწორეს მდგომარეობა და ღირსეულად შეინარჩუნეს გამარჯვება. ჩვენი გუნდი კვლავ ლიდერთა სამეულში იმყოფება.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით ჩვენი კორ.).**

* * *

გუშინ ბათუმში შედგა ლიგის მეტად საინტერესო შეხვედრა: ბათუმის დინამოელებმა მიიღეს გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ცსკა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ბათუმელებმა.

## მკითხველი გვირჩევს

**ძვირფასო რედაქცია!**

**ვინც** ტელევიზიით ადევნებდა თვალს ფეხბურთში მსოფლიო პირველობის მსვლელობას, ალბათ შეამჩნევდა ერთ საინტერესო დეტალს: როცა ესა თუ ის ფეხბურთელი ყვითელ ან წითელ ბარათს „დაიმსახურებდა“, მისი გვარი უმალვე ცხადდებოდა სტადიონზე, რაც მაყურებლისთვის მეტად მოსახერხებელია.

ჩვენში ასე არ ხდება. ხშირად გაუგებარია, ვინ გააფრთხილა არბიტრმა. ამის შესახებ მხოლოდ მეორე და მესამე დღეს ვიღებთ ინფორმაციას, მაგრამ უკვე პრესის მეშვეობით. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ ასეთ სასარგებლო ტრადიციას ჩვენს სტადიონზეც ჩაეყრება საფუძველი. ეს თავიდან აგვაცილებდა ყოველგვარ გაუგებრობას.

**რეზო კოპაძე.**
თბილისი.

## ფეხბურთის გულშემატკივართა კონკურსი

ძვირფასო მეგობრებო!

**დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩზე ტაიმებს შორის შესვენების დროს სპორტულ-სანახაობით ღონისძიებას ატარებს ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონი და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვები“. ფეხბურთის გულშემატკივრის კონკურსში გამარჯვებულებიც მათ მიერ დაწესებულ პრიზს მიიღებენ.**

კითხვებზე პასუხები უნდა გასცეთ გაზეთის ამავე ნომერში შემოთავაზებული ანკეტის მეშვეობით (იხ. IV გვ.), შევსების შემდეგ გაზეთიდან გამოჭრილი და შევსებული ანკეტა უნდა ჩაუშვათ სტადიონის შემოსასვლელებში მდგარ სპეციალურ ყუთებში. მატჩის დაწყების წინ ყუთები დაილუქება.

მატჩის დამთავრების შემდეგ სპეციალური ჟიური განიხილავს კონკურსის შედეგებს, რომელიც გამოცხადდება „ლელოში“. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სამახსოვრო სუვენირებით, რომლებსაც ისინი მიიღებენ „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის დირექციაში, მომდევნო ტურის მატჩის დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## ფინალები დაიწყო

**მინსკი,** 19 ივლისი **(ტელეფონით).** მოჭადრაკეთა სასპარტაკიადო შეჯიბრებაში ფინალური შეხვედრები დაიწყო.

ვაჟთა შეჯიბრებაში I ტურის მატჩები გაიმართა. საქართველოს ნაკრები მოსკოველთა გუნდს შეხვდა. დაწინაურდნენ მოსკოველები — 2:1. ორი პარტია გადაიდო. ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები მ. იაელიანმა და ლ. ჯანჯღავამ, მ. კრასენკოვმა წააგო, გ. გიორგაძემ და გ. ბალათურიოვმა პარტიები გადადეს.

ფინალის კიდევ ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: უკრაინა — რსფსრ 3,5:1,5, ლიტვა — ლენინგრადი 2:2 (ერთი გადადებული პარტია).

VII-XII ადგილებისთვის ქალთა ტურნირში საქართველოს მოჭადრაკეებმა ანგარიშით 3:0 სძლიეს ლიტვის წარმომადგენლებს.

### თქვენი სვლაა

**ეტიუდი**

**ლ. ტოპკო**

**(უკრაინა)**



1979 წ.

**თეთრები იგებენ**

„ლელოს" 13 ივლისის ნომერში დაბეჭდილი დიდოსტატ ი. კრიხელის (გორი) ამოცანა ასე ამოიხსნება: 1. ეc2 მფg1 2. მფc1 მფf1 3. მფd1 მფg1 4. მფe1 მფh1 5. მფf1 a3 6. ეc3 მფh2 7. ე:a3 მფh1 8. ეh3X. 1. ...a3+ 2. მფc3! a2 3. ე:a2 მფg1 4. მფd3 მფf1. 5. მფe3 მფg1 6. მფf3 მფh1 7. მფg3 მფg1 8. ეa1X.

**მსოფლიო ჩემპიონატის ექო**

# პრობლემა: დამატებითი 11-მეტრიანები



**1986 წლის** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში მექსიკაში ზუსტად იგივე სისტემით ჩატარდა, როგორც მისი წინამორბედი ესპანეთში: ფინალისტთა რაოდენობა 16-დან 24-მდე გაიზარდა.

ახალ სისტემას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე სიახლეთა შემოღების დროს, მიმდევარიც ბევრი ჰყავდა და მოწინააღმდეგეც. ფეხბურთი წინ მიდის, ვითარდება, ადრინდელ აღიარებულ ფავორიტებს ახლებიც ემატებიან. ბევრ ქვეყანაში ფეხბურთი არ იყო ფეხმოკიდებული და პოპულარული, ახლა კი იქ საუკეთესო საკლუბო და ეროვნული გუნდები არსებობს. საუკეთესო ფეხბურთელთა თაობები იზრდება აფრიკაში, აზიაში, ოკეანიაში, ამიტომ მათ შემდგომი ზრდისა და სრულყოფისთვის საჭიროა ახალი ასპარეზი, ახალი გზები. მსოფლიო ჩემპიონატი კი სწორედ იმისთვისაა მოგონილი, რომ ახალსა და პროგრესულს მისცეს დასაბამი, გაუკვალოს გზა.

მაგრამ ყველგან და ყველაფერში არიან ტრადიციონალისტებიც, რომელთათვისაც ახალი გუნდებისა და ახალი ფეხბურთელების მიღწევები მხოლოდ მაშინაა ღირსშესანიშნავი, თუ ისინი თავიანთ წარმატებებს მრავალჯერ და ხანგრძლივად დაადასტურებენ, ე. ი. ტრადიციად გახდიან.

სწორედ ამგვარი პროგრესისტებისა და ტრადიციონალისტების დავა მიმდინარეობს ახლა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში. ერთნი ამტკიცებენ, რომ ზედმეტია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ერთბაშად 24 გუნდის მონაწილეობა და ტურნირის გაჭიანურება ერთ თვემდე, ისინი ერთი ნაბიჯითაც არ იხევენ უკან, მით უმეტეს, ამბობენ, რომ წლევანდელი ჩემპიონატი მიმდინარეობდა მექსიკის მაღალმთიანეთისა და სიცხის ექსტრემალურ პირობებში, ფეხბურთელებმა ტიტანური, სრულიად უსარგებლო შრომა გასწიეს ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ამასწინანდელ სხდომაზე, რომელსაც პრესკონფერენციის ხასიათი ჰქონდა, მისი პრეზიდენტის ჟოაო ავილანჟის წინაშე სრულიად კატეგორიულად, შეუნიღბავად დასვეს ასეთი საკითხი: „ჩვენ ვცდილობთ ჯერ ხელოვნურად გავართულოთ სიტუაცია, შევქმნათ ამ სრულიად ნორმალური თამაშისთვის სავსებით შეუფერებელი პირობები, მერე კი ვეძებთ მდგომარეობიდან გამოსავალ გზებს. უმჯობესია თავიდანვე ვიფიქროთ ფეხბურთელებზე და, საერთოდ, ფეხბურთზე". საქმე, კერძოდ, ეხებოდა მატჩის შემდგომ დამატებით პენალტებს.

ჟოაო ავილანჟმა განაცხადა: მატჩისშემდგომი დამატებითი პენალტების წესი მოსწონს უკლებლივ ყველას... დამარცხებულთა გარდა. ამ წესის თაობაზე მრავალჯერ ვითათბირეთ, აბსოლუტურად ყველა ვარიანტი განვიხილეთ, მაგრამ უკეთესს ვერ მივაგენით. პენალტი იყო და არის ფეხბურთის განუყოფელი ნაწილი, მისი ღვიძლი ელემენტი და თუ ვინმემ რომელიღაც კონკრეტულ შემთხვევაში ვერ შეძლო მისი გამოყენება, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თვით წესია უვარგისი. უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პენალტების დამატებითი სერიები დავაწესეთ და მას შემდეგ სულ ერთი და იმავეს ვხედავთ: დამატებითი პენალტების წესი ყველაზე უფრო მართებულ, სწორ და რეალურ საშუალებად მიაჩნიათ, მაგრამ საკმარისია რომელიმე გუნდმა დამატებითი პენალტებით წააგოს მატჩი და მაშინვე იწყება დავა და ჩივილი ამ წესის უვარგისობის თაობაზე.

პრეზიდენტმა კონკრეტულად დააყენა საკითხი: რა უფრო სამართლიანი, ხელსაყრელი და იოლია — წილისყრა, თუ დამატებითი პენალტები? ვთქვათ, რომელიღაც გადამწყვეტი მნიშვნელობის შეხვედრაში გამარჯვებული არ გამოვლინდა, თუმცა, ფეხბურთელებმა შირითადი დროც ითამაშეს და დამატებითი 30 წუთიც. წილისყრა თუ დამატებითი 11-მეტრიანები? მე ვფიქრობ, აქ გასარკვევიც არაფერია — წილისყრას საფეხბურთო მინდორზე წარმოებული პენალტების „დუელი" სჯობია. დამატებითი პენალტების მეშვეობით მინდორზე არსებითად გრძელდება საფეხბურთო ბრძოლა და სწორედ ესაა სპორტული პრინციპის სიმართლე. ამგვარი სიმართლე და ჭეშმარიტება არ შეიძლება ბრმა წილისყრით შევცვალოთ.

გვთავაზობენ მატჩის ჩატარებას მეორე დღეს, როგორც ეს უწინ იყო, და შემდეგ, თუ ხელმეორე მატჩიც კვლავ ფრედ დამთავრდა — წილისყრას. დააკვირდით: ისევ იმ წილისყრას, რომელიც ავლენს არა უძლიერესს, არამედ იღბლიანს.

ყველაფერ ამის თაობაზე ვდავობდით ოდესღაც, შემდეგ ყველამ გადაწყვიტა, რომ დამატებითი პენალტები გამარჯვებულის გამოვლენის ყველაზე უკეთესი სპორტული საშუალებაა, ახლა კი „დაზარალებულები" კვლავ ლამობენ ბრმა იღბალს მიანდონ ბედი.

თავად განსაჯეთ: წილისყრა თავიდან ბოლომდე შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, პენალტი კი ეს არის გამარჯვებულის გარკვევის საშუალება წმინდა საფეხბურთო ელემენტის საშუალებით.

დიდ ტექნიკურ და ორგანიზაციულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული გადამწყვეტი მატჩების გადატანა მეორე დღისთვის, თუ გამარჯვებული დადგენილ დღეს არ გამოვლინდა. ვთქვათ, 29 ივნისის ფინალურ მატჩს არგენტინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის არ გამოევლინა მსოფლიო ჩემპიონი. ეს იმდენ სიძნელეს გამოიწვევდა, რომ მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია...

ერთი სიტყვით, ჟოაო ავილანჟი მტკიცედ და ურყევად დგას დამატებითი პენალტების წესზე და წილისყრა გამარჯვებულის გამოსავლენად მეტად არასპორტულ, შეუფერებელ ხერხად მიაჩნია.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრესკონფერენციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ფიფა-ს გენერალური მდივანი ი. ბლატერი. იგი დაეთანხმა ოპონენტებს, რომ ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური პერიოდი ძალზე გაჭიანურდა. ერთი თვის ნაცვლად შეიძლებოდა ჯათამაშების ვადების შეკვეცა 23 დღემდე. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, —თქვა მან, — ამის შესახებ იმსჯელებს და შესაფერის გადაწყვეტილებასაც მიიღებს, მაგრამ ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ ფინალის მონაწილეთა რაოდენობა (24 გუნდი) არ შემცირდება. შესაძლოა შეიცვალოს პირველ ეტაპზე შეჯიბრების ჩატარების სისტემა.

მაგრამ კითხვაზე, შესაძლოა თუ არა მატჩი გაგრძელდეს პირველივე გატანილ გოლამდე, როცა დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ი. ბლატერმა აღნიშნა, რომ იმ „პირველივე" გოლს შეიძლება ყოვლად განუსაზღვრელი, დიდი დრო დაჭირდეს.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მმართველთა წინაშე სრული კატეგორიულობით დაისვა საკითხი: მსოფლიო ჩემპიონატები, დღიდან ჩასახვისა, მონაცვლეობით მიმდინარეობს ხან სამხრეთ ამერიკაში, ხან ევროპაში, დადგება დრო თუ არა, როცა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება სხვა რომელიმე კონტინენტზე — აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიაში?

ი. ბლატერმა განაცხადა: მყარად დადგენილი დებულება იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატი აუცილებლად ევროპაში, ან ამერიკაში უნდა ჩატარდეს, არ არსებობს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მხოლოდ ნაღდი გარანტია სჭირდება, რომ შეჯიბრება ჩატარდება თანამედროვე მოთხოვნათა ყველა პუნქტის შესაბამისად (სათამაშო სტადიონები, საწვრთნელი ბაზები, ფეხბურთელთა მიღება-დაბინავების პრობლემები, საკომუნიკაციო საშუალებები, სასტუმროები, ტრანსპორტი, ფოსტა, ტელევიზია და მრავალი სხვა). ამიტომ ერთ-ერთ უახლოეს მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს სხვა კონტინენტი.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო ავილანჟმა თათბირის დასასრულს კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მონაწილე გუნდების რაოდენობა — 24 — ოპტიმალურად მიაჩნია და დამატებით პენალტებზე უკეთეს საშუალებასაც გამარჯვებულის გამოსავლენად დღეს ვერ ხედავს.

## „მერანი" № 14

**გამოვიდა** „ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანის" მე-14 ნომერი.

გაზეთი იუწყება, რომ 28 ივლისს ლონდონში დაიწყება მსოფლიო პირველობის მატჩ-რევანში გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს შორის და ბეჭდავს წერილს ამ მოვლენასთან დაკავშირებით.

„მერანი" მკითხველს სამ ახალ რუბრიკას სთავაზობს. რუბრიკით „ჩვენი თანამემამულე" დაბეჭდილია ნ. ბესალაშვილის წერილი ბაქოში მცხოვრებ ქართველ ოსტატ გენადი გავაშელიშვილზე; რუბრიკით „შეხვედრები" — ფიშერ—ტალის პარტია 1960 წლის საჭადრაკო ოლიმპიადიდან; რუბრიკით „ეტიუდი კომენტარით" — თბილისელი საჭადრაკო კომპოზიტორის ვიქტორ სერედას წერილი და ორი ეტიუდი.

დიდოსტატი ა. ლილიენტალი იხსენებს თავის შეხვედრებს სამ მსოფლიო ჩემპიონთან — ე. ლასკერთან, ხ. კაპაბლანკასთან და ა. ალიოხინთან.

გარდა ამისა, ნომერში დაბეჭდილია ვ. სიდამონიძის წერილი „სულხან-საბა მოგვითხრობს", დ. ტატიშვილის „სასახლის ხვალინდელი დღე" (ინტერვიუ ჭადრაკის სასახლის დირექტორ ლ. წეროძესთან), ნ. სიმონიშვილის „გულშემატკივარი" (ინტერვიუ პროფესორ გ. ინწკირველთან), პოლონელი მწერლის მ. სამოზვანეცის იუმორესკა „დაშამათება" და სხვა საინტერესო მასალები.

### კონკურსში მონაწილის ანკეტა

1. რა ანგარიშით დამთავრდება თბილისის „დინამოსა" და ვილნიუსის „ჟალგირისის" მატჩი? . . . . . . . .

2. ვინ გაიტანს ამ მატჩში ბურთებს თბილისელთა გუნდიდან?

. . . . . . . . . . . . . . ,

. . . . . . . . . . . . . . ,

3. გვარი, სახელი . . . , . . . . . . . . . .

4. სამუშაო ადგილი . . . . . . . . . . . . . .

**შენიშვნა:** კონკურსის პირობები იხ. მე-3 გვერდზე.

● ● ●

**თბილისში ჩატარებულ წინა ტურში (28 ივნისი) კონკურსში მონაწილე მრავალრიცხოვანი გულშემატკივრიდან მატჩის შედეგი და ფეხბურთელი, რომელმაც თბილისის „დინამოდან" გოლი გაიტანა (მ. შენგელია), ზუსტად ამოიცნო გლდანის რაიონის არასრულწლოვანთა დაცვის თანამშრომელმა რისმაგ მამედოვმა, რომელსაც სპეციალური პრიზი გადაეცა.**

### დღეს ფინალია: სსრ კავშირი — აშშ

**მსოფლიო** ჩემპიონატის ფინალში, ისევე, როგორც ოთხი წლის წინათ, ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები.

ჩემპიონატების ისტორიაში ეს იქნება ამ გუნდების მეცხრე შეხვედრა. ხუთი მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა, სამი — ამერიკელებმა. დღევანდელ მეტოქეთა პირველი „ნაცნობობა" მსოფლიოს 1959 წლის ჩემპიონატზე შედგა და დამთავრდა იგი საბჭოთა კალათბურთელების დამაჯერებელი გამარჯვებით — 62:37. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე (1963 წელს, ბრაზილიაში) საბჭოთა და ამერიკელი კალათბურთელები ერთმანეთს შეებრძოლნენ ბრინჯაოს მედლებისათვის. მინიმალური ანგარიშით (75:74) გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა. 1967 წლის მსოფლიო პირველობაზე ასევე მინიმალური ანგარიშით (59:58) მოიგეს ამერიკელებმა. მათივე გამარჯვებით (75:72) დამთავრდა შეხვედრა 1970 წელს, მსოფლიოს მორიგ ჩემპიონატზე იუგოსლავიაში. 1974 წელს, როცა საბჭოთა და ამერიკელ კალათბურთელთა მატჩს მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა უნდა გამოერკვია, ანგარიშით 105:94 გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა. ბრწყინვალედ ითამაშა ა. სალნიკოვმა (38 ქულა). მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კვლავ აჯობა მეტოქეს — 97:76. 1982 წელს, კოლუმბიაში, საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების დავა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 96:95.

**ზურაბ კალანდაძე.**

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 20 ივლისი.** რიტმული ტანვარჯიში— **9.40 (1);** „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში: მატჩი III ადგილისათვის **12.15 (2);** კეთილი ნების თამაშები — **14.30 (1); 19.45 (2);** კეთილი ნების თამაშების საზეიმო დახურვა და კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი — **22.45 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 20 ივლისი.** კეთილი ნების თამაშები — **14.30; 22.45.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი"" (ვილნიუსი) — **20.00**

**21 ივლისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო" (ქუთაისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი). 20 ივლისის შეხვედრის II ტაიმის ვიდეოჩანაწერი— **18.50.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**




**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**ფეხბურთი ◎ 24 ივლისი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)**

დასაწყისი 20 საათზე

მატჩზე დასასწრები ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 21 და 22 ივლისს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 21 ივლისიდან, შეფარდებით ერთი-ერთზე.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ 24 ივლისის 12 საათამდე № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო. სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათებში).

**ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 24 ივლისს „დინამოს" სტადიონზე.**

**დასაწყისი 18 საათზე.**

**უამინდობის შემთხვევაში მატჩი ჩატარდება „ლოკომოტივის" სტადიონზე.**